

3.2. ელიტ-ლიგის 2017 წლის გათამაშება ჩატარდება 7 ასაკობრივ ჯგუფში, შესაბამისი ფორმატით:

3.2.1. 2001 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შორის ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 8 გუნდი. ტურნირი ჩატარდება 3 წრედ. (მესამე წრის კალენდარი იდენტური იქნება პირველი წრისა).

3.2.2. 2002 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შორის ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 11 გუნდი. ტურნირი ჩატარდება 2 წრედ.

3.2.3. 2003 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შორის ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 10 გუნდი. ტურნირი ჩატარდება 3 წრედ.

3.2.4. 2004 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შორის ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 12 გუნდი. ტურნირი ჩატარდება 2 წრედ.

3.2.5. 2005 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შორის ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 14 გუნდი. ტურნირი ჩატარდება 2 წრედ.

3.2.6. 2006 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შორის ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 13 გუნდი. ტურნირი ჩატარდება 2 წრედ.

3.2.7. 2007 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შორის ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 10 გუნდი. ტურნირი ჩატარდება 3 წრედ.

3.3 მატჩების ხანგრძლივობა: 2001 - 80წუთი, 2002 - 2003- 70 წუთი, 2004 - 60 წუთი, 2005-2006- 2007 - 50წუთი. ყველა შესვენება გრძელდება 10 წუთი;

3.4. ჩემპიონატში ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება - 3 ქულა, ფრე - 1 ქულა, წაგება - 0 ქულა;

3.5. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით: 2 წრიან ტურნირებში შემდეგნაირად:

_ უშუალოდ ერთმანეთთან შეხვედრების შედეგები (ჯერ ქულათა რაოდენობა, შემდეგ _ ბურთების უკეთესი სხვაობა);

_ მოგებათა მეტი რაოდენობა;

_ ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

_ გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა;

_ სტუმრად გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა;

_ ფეირ-პლეის შედეგები;

_ თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა;

3 წრიან ტურნირებში შემდეგნაირად:

_ მოგებათა მეტი რაოდენობა;

_ ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

_ გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა;

_ სტუმრად გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა;

_ ფეირ-პლეის შედეგები;